სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 ნოემბერი, 2024 წელი

ბრძანება № 01-02/196

ბსუ-ს უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი ტრენინგ-პროგრამის „მუცლის და მენჯის ღრუს ორგანოების გადაუდებელი შემთხვევების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის საფუძვლები“ გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, **,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების** დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის **მინისტრის 2018 წლის 19 ივლისის N01-3/ნ ბრძანებით დამტკიცებული** ,,უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმების (N1 **დანართი),** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსადმი ბსუ-ს წერილის (N1108006, 11/09/2014წ), პროფესიული განვითარების საბჭოს 2024 წლის 30 სექტემბრის წერილის REG 4 24 01032008, ბსუ-ს უსგ ტრენინ-პროგრამის „მუცლის და მენჯის ღრუს ორგანოების გადაუდებელი შემთხვევების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის საფუძვლები“ აკრედიტაციის თაობაზე **პროფესიული განვითარების საბჭოს 2024 წლის 27 სექტემბრის N19 სხდომის გადაწყვეტილების (აკრ. N0770),** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ **ჯანდაცვის (რადიოლოგიის) მიმართულების კოორდინატორის, დავით ცეცხლაძის** 2024 წლის 21 ნოემბრის №1505720 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. **დამტკიცდეს** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2024 წლის 27 სექტემბრის N19 სხდომის გადაწყვეტილებით **აკრედიტებული** (აკრ. N0770) უწყვეტი სამედიცინო განათლების **ტრენინგ-პროგრამის** „მუცლის და მენჯის ღრუს ორგანოების გადაუდებელი შემთხვევების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის საფუძვლები“ (დასწრებული ფორმა; ტრენინგის ხანგრძლივობა - **2 დღე,** დღეში 6-6 სატრენინგო

საათი) **გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმა,** წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.

2. <u>წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული სერტიფიკატები შეივსოს და გაცემის რეგისტრაცია განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ,</u> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის **მინისტრის 2018 წლის 19 ივლისის N01-3/ნ ბრძანებით დამტკიცებული** ,,უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმების (**N1 დანართი**) **და ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.**
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ცენტრის უწყვეტის განათლების მიმართულებით ჯანდაცვის (რადიოლოგიის) მიმართულების კოორდინატორს, პროფესორ დავით ცეცხლაძეს (უზრუნველყოს ამ ბრძანებაში აღნიშნული ტრენერებისათვის დაგზავნა/ინფორმირება), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი

მ. ხალვაში

რექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის N01-02/196 ბრძანების N1 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

ადასტურებს, რომ ექიმმა

--- ---

2024 წლის 07 დეკემბრიდან 08 დეკემბრის ჩათვლით წარმატებით გაიარა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2024 წლის 27 სექტემბრის
N19 სხდომის გადაწყვეტილებით აკრედიტებული (N0770)
უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა (ხანგრძლივობა - 2 დღე/12 საათი)

**„მუცლის და მენჯის ღრუს ორგანოების გადაუდებელი შემთხვევების
რადიოლოგიური დიაგნოსტიკის საფუძვლები“**
და მიენიჭა 12 კრედიტი ქულა

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი	მერაბ ხალვაში
პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი	მადონა მიქელაძე
პროგრამის ხელმძღვანელი	დავით ცეცხლაძე

სარეგისტრაციო № 24/001
გაცემის თარიღი: ... ...